



თელავის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ქ. თელავი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 94
16/08/2018

94-09-4-201808161538



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მისაღებ ნორმატიულ
აქტებთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების
შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტის, საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 103-ე მუხლის და 106¹-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

მუხლი 1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მისაღებ შემდეგ ნორმატიულ აქტებთან დაკავშირებით:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის №01 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.
2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №10 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი 2018 წლის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მუხლი 2. სამართლებრივი აქტების პროექტების კომისიებში განხილვა განხორციელდეს 2018 წლის 20 აგვისტომდე.

მუხლი 3. სამართლებრივი აქტების პროექტები საკრებულოს დასამტკიცებლად წარედგინოს 2018 წლის 28 აგვისტომდე.

მუხლი 4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 5. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ.თელავი, დ.აღმაშენებლის გამზ. №41) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

არჩილ თხლაშიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

